თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5591538

ნომერი: AR1835237

თარიღი : 01.07.2021

გაცემის თარიღი : 10.09.2021

გაცნობის თარიღი : 10.09.2021

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ომიაძე პ/ნ 01009017329
- ქ.თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, დასახლება დიდი დიღომი,ფარნავაზ მეფის გამზIა II მ/რ-ის მიმდებარედ

ორგანიზაცია:

- ეკო დეველოპმენტი კოდი: 405231208

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 1 ივლისის №AR1835237 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2020 წლის 5 ნოემბრის №5147802 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2021 წლის 9 ივლისის №5495815 ბრძანებით, 2021 წლის 27 ივლისის №5521010, 2021 წლის 6 აგვისტოს №5538796, 2021 წლის 18 აგვისტოს №5554298, 2021 წლის 26 აგვისტოს №5568019, 2021 წლის 3 სექტემბრის №5582060 და 2021 წლის 8 სექტემბრის №5587312 გადაწყვეტილებებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ დადგენილი ხარვეზები ისევ არ არის გამოსწორებული სრულად, კერძოდ, ამჯერად წარმოდგენილი და შეთანხმებული გეგმები არ არის იდენტური (მაგ.: +9.90 ნიშნულის გეგმაზე „9-10“ და „C-D” ღერძებზე მდებარე ლიფტის ტამბურის და კიბის უჯრედის კედლის მდებარეობა არის შეცვლილი, აგრეთვე წარმოდგენილ გეგმებზე შენობიდან საკადასტრო ერთეულამდე მანძილები არასწორად არის დატანილი და სხვ.).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, სამსახურის 2021 წლის 9 ივლისის №5495815 ბრძანებით, 2021 წლის 27 ივლისის №5521010, 2021 წლის 6 აგვისტოს №5538796, 2021 წლის 18 აგვისტოს №5554298, 2021 წლის 26 აგვისტოს №5568019, 2021 წლის 3 სექტემბრის №5582060 და 2021 წლის 8 სექტემბრის №5587312 გადაწყვეტილებების შესაბამისად, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება თქვენი 2021 წლის 1 ივლისის №AR1835237 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისად სამსახურის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
